ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

ოქმი № 16

6 ივლისი, 2018 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
12 :30 სთ

სხდომას უძღვებოდა: სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

მარიკა დარჩია

ანა ლაშხი

გულია გოცირიძე

კომისიის სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების საჯარო განხილვას ესწრებოდნენ დაინტერესებული მოქალაქეები:

ლიანა შარაშენიძე

ვენედიქტე ტაბატაძე

მაია ასადოვი

ვლადიმერ ჩომახიძე

კახაბერ ჯალაბაძე

მზევინარ ფაცაცია

იოსებ მანჯავიძე

ზურა მანჯავიძე

ია გელანტია

ონისე აბრამიშვილი

მამუკა ცუხიშვილი

ქეთინო მალაზონია

მზია მელქაძე

მაგდანა ბახია

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ თინათინ ნიბლოშვილმა, მან დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ფონიჭალის დასახლების III მ/რაიონში არსებული უსახელო პარკისთვის ოკუპაციის მსხვერპლთა სახელის მინიჭების შესახებ
2. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, გიორგი მუხაძის ქუჩის გაგრძელების შესახებ
3. „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, გაგარინის II შესახვევისთვის მელიტონ ქანთარიას სახელის მინიჭების შესახებ“ 2006 წლის 12 ივლისის N72 დადგენილების არარად გამოცხადების შესახებ
4. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ავთო ვარაზის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მელიტონ ქანთარიას სახელის მინიჭების შესახებ
5. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ჯამბულ წურწუმიას ქუჩასთან არსებული ორი უსახელო შესახვევისთვის ჯამბულ წურწუმიას III და IV შესახვევების სახელის მინიჭების შესახებ

6. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში საზანოს ქუჩის გაგრძელების შესახებ
7. ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, სპირიდონ ვირსალაძის ქუჩის გაგრძელების შესახებ
8. ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, სოფ. ფონიჭალაში, ბათუმის ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის ბათუმის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ
9. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, დიდგორის ქუჩის გაგრძელების შესახებ
10. ქ. თბილისში, ისნის რაიონში, II ქუჩის II გასასვლელისთვის პაატა ჯანელიძის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ
11. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ნუშის ბაღების ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ნუშის ბაღების I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ
12. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, ჭრებალოს ქუჩის გაგრძელების და მასთან არსებული ორი ჩიხისთვის ჭრებალოს სახელის მინიჭების შესახებ
13. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, სოფ. ნასაგურში მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შვიდი შესახვევისთვის ბროწეულას სახელის მინიჭების შესახებ
14. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ტაძრის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ტაძრის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ
15. ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, აკაკი ბაქრაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული გასასვლელისთვის ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიგა მანჯავიძის სახელის მინიჭების შესახებ
16. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, სამოქალაქო თვითმფრინავების ნაწილების ქარხანასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის ავიაკონსტრუქტორის მიხეილ გრიგორაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
17. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, კულა გლდანელის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის მამუკა ბუცხრიკიძის სახელის მინიჭების შესახებ
18. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ელგუჯა ამაშუკელის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის გენერალ-მაიორის პაატა დათუაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
19. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ბაგებში, ნუშის ბაღების ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის, ლეიტენანტის ემზარ გელანტიას სახელის მინიჭებოის შესახებ
20. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობაში, გუდამაყრის ქუჩის გაგრძელების შესახებ

21. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიღმის ქედის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის იუნკერის ირაკლი თოიძის სახელის მინიჭების შესახებ
22. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ელეონორა ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ელეონორა ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ
23. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობაში რაჭის ქუჩის გაგრძელების და ქუჩასთან არსებული ოთხი უსახელო შესახვევისთვის რაჭის სახელის მინიჭების შესახებ
24. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, შალვა დოლიძის ქუჩის გაგრძელების შესახებ
25. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიღმის ქედის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის თამაზ ძიძიგურის სახელის მინიჭების შესახებ
26. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიღმის ქედის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის იოსებ კვაჭაძის სახელის მინიჭების შესახებ
27. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ვლადიმერ წითლანაძის ქუჩისთვის და მასთან არსებული სამი შესახვევისთვის ცოლიკაურის სახელის მინიჭების შესახებ
28. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, რევაზ სირაძის ქუჩისთვის და მასთან არსებული ოთხი ჩიხისთვის საბატონოს სახელის მინიჭების შესახებ
29. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ხეივნის დასახლებაში, ე.წ. III ხევნის ქუჩისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის ბადაგის სახელის მინიჭების შესახებ
30. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ხეივნის დასახლებაში, ე.წ. ახალი ხეივნის ქუჩისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის უსახელოურის სახელის მინიჭების შესახებ
31. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ხეივნის დასახლებაში, ე. წ. დიდი ხეივნის ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის დიდი ხეივნის სახელის მინიჭების შესახებ
32. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ხეივნის დასახლებაში, უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული სამი შესახვევისთვის ხეივნის სახელის მინიჭების შესახებ
33. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, გია გულუას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი შესახვევისთვის რევმატოლოგის, აკადემიკოს ვლადიმერ წითლანაძის სახელის მინიჭების შესახებ
34. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, თაბორის მთის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის თაბორის მთის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

35. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ე.წ. ნატბეურების დასახლებაში უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ოთხი შესახვევისთვის ნატბეურების სახელის მინიჭების შესახებ
36. ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ფაზისისა და კოლხეთის ქუჩებთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის დიოსკურიას სახელის მინიჭების შესახებ
37. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ქინძმარაულის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის და ერთი შესახვევისთვის რქაწითელის სახელის მინიჭების შესახებ

1. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ფონიჭალის დასახლების III მ/რაიონში არსებული უსახელო პარკისთვის ოკუპაციის მსხვერპლთა სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილმა დრის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ფონიჭალის დასახლების III მ/რაიონში უსახელო პარკისთვის ოკუპაციის მსხვერპლთა სახელის მინიჭების იდეა დედაქალაქის მერს, კახა კალაძეს ეკუთვნის. მისივე ინიციატივით, ფონიჭალაში მოეწყობა ოკუპაციის მსხვერპლთა სახელობის პარკი და მათი სახელების უკვდავსაყოფად განთავსდება შესაბამისი მემორიალი. აღნიშნული პარკი 10 000 კვადრატულ მეტრზეა განთავსებული და მოიცავს იშვითი ხე-მცენარეებით გაშენებულ ფართობს, აერთიანებს ფეხბურთის და კალათბურთის სათამაშო მოედნებს და მოწყობილია თანამდეროვე ინფრასტრუქტურით.

კომისიის წევრებმა სხდომის თავმჯდომარესთან ერთად წარმოდგენილ სახელდებასთან დაკავშირებით იმსჯელეს, ხაზი გაუსვეს აღნიშნული სკვერის ფუნქციურ მნიშვნელობას და საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი.

მომხრე - ოთხი

წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, ფონიჭალის დასახლების III მ/რაიონში არსებულ უსახელო პარკს მიენიჭოს ოკუპაციის მსხვერპლთა სახელი.

2. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, გიორგი მუხაძის ქუჩის გაგრძელების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილმა სხდომაზე კომისიაში შემოსული შპს „ტექნოქიმიას“ დირექტორის დემურ მსახურაძის წერილი განიხილა და მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ კომისიის წევრებთან ერთად იმსჯელა.
ტერიტორიის და საკითხის შესწავლის შემდგომ აღმოჩნდა, რომ უსახელო ქუჩა მდებარეობს გიორგი მუხაძის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია მისი გაგრძელება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი.

მომხრე - ოთხი
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, გაგრძელდეს გიორგი მუხაძის ქუჩა.

3. „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, გაგარინის II შესახვევისთვის მელიტონ ქანთარიას სახელის მინიჭების შესახებ“ 2006 წლის 12 ივლისის N72 დადგენილების არარად გამოცხადების შესახებ
4. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ავთო ვარაზის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მელიტონ ქანთარიას სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილმა დღის წესრიგით წარმოდგენილი მე-3 და მე-4 საკითხებიც განიხილა და განმარტა, რომ გაგარინის II შესახვევს 1999 წელს ჯერ აკაკი გახოკიძის, ხოლო 2006 წელს მელიტონ ქანთარიას სახელი ეწოდა. ვინაიდან მელიტონ ქანთარიას სახელი მიენიჭა არა აკაკი გახოკიძის ქუჩას, არამედ ისევ გაგარინის II შესახვევს, რომელიც 1999 წლიდან უკვე აკაკი გახოკიძის სახელს ატარებდა და ფაქტობრივი გარემოებები არ იძლევა აქტის აღსრულების შესაძლებლობას, კომისიამ სხდომის თავმჯდომარესთან ერთად იმსჯელა და მიიღო გადაწყვეტილება ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 12 ივლისის N 72 დადგენილების არარად გამოცხადების შესახებ. მელიტონ ქანთარიას სახელი კი კომისიის გადაწყვეტილებით მიენიჭება ავთო ვარაზის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას.

სხდომის თავმჯდომარის განმარტებით, წარმოდგენილი ორი საკითხის განხილვას საფუძვლად დაედო მოქალაქე ლიანა შარაშენიძის განცხადება უსახელო ქუჩის სახელდების მოთხოვნით და საქართველოს პარლამენტის წევრის კობა კობალაძის შუამდგომლობა, რომლითაც სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორი ვლადიმერ იმნაძე ითხოვს მელიტონ ქანთარიას ქუჩისთვის სახელის აღდგენას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე და მეოთხე საკითხები.

მომხრე - ოთხი
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: არარად გამოცხადდეს „ ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, გაგარინის II შესახვევისთვის მელიტონ ქანთარიას სახელის მინიჭების შესახებ“ 2006 წლის 12 ივლისის N72 დადგენილება.

ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ავთო ვარაზის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს მელიტონ ქანთარიას სახელი.

5. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ჯამბულ წურწუმიას ქუჩასთან არსებული ორი უსახელო შესახვევისთვის ჯამბულ წურწუმიას III და IV შესახვევების სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაცია მოქალაქე ვენედიქტე ტაბატაძის განცხადებასთან დაკავშირებით, რომლითაც მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით ითხოვს სამგორის რაიონში უსახელო ქუჩის სახელდებას.

როგორც სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, უსახელო ტერიტორია მდებარეობს ჯამბულ წურწუმიას ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს აღნიშნული ქუჩის შესახვევს. ქუჩასთან განვითარებულია ასევე ერთი უსახელო შესახვევი.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და დღის წესრიგით წარმოდგენილ მეხუთე საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

სხდომას ესწრებოდა განმცხადებელი ვენედიქტე ტაბატაძე. მან მადლობა გადაუხადა კომისიას დახმარებისთვის, ვინაიდან უმისამართობა მისი და არაერთი მეზობლის პრობლემას წარმოადგენდა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხი.

მომხრე - ოთხი
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ჯამბულ წურწუმიას ქუჩასთან არსებულ ორ უსახელო შესახვევს მიენიჭოს ჯამბულ წურწუმიას III და IV შესახვევების სახელი.

6. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში საზანოს ქუჩის გაგრძელების შესახებ

მოისმინეს: სხდომაზე კომისიის წევრებმა სხდომის თავმჯდომარესთან ერთად მოქალაქე ვაჟა ღვინიანიძის განცხადებასთან დაკავშირებით იმსჯელეს, რომლითაც

მითითებული საკადასტრო ერთეულის (72.13.11.473) მიხედვით ითხოვს ქუჩის სახელდებას.

თინათინ ნიბლოშვილის განმარტებით, უსახელო ტერიტორია მდებარეობს გლდანის რაიონში, საზანოს ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია მისი გაგრძელება.

კომისიის წევრებმა სხდომის თავმჯდომარესთან ერთად იმსჯელეს და საკითხი დადებითად გადაწყვიტეს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეექვსე საკითხი.

მომხრე - ოთხი
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, გლდანის რაიონში გაგრძელდეს საზანოს ქუჩა.

7. ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, სპირიდონ ვირსალაძის ქუჩის გაგრძელების შესახებ

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეშვიდე საკითხი.

მომხრე - ოთხი
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, გაგრძელდეს სპირიდონ ვირსალაძის ქუჩა.

8. ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, სოფ. ფონიჭალაში, ბათუმის ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის ბათუმის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: სხდომაზე კომისიის წევრებმა თინათინ ნიბლოშვილთან ერთად მოქალაქე ჩიჩაკ მამედოვის განცხადება განიხილეს. მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით ტერიტორიის შესწავლის შემდგომ აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს სოფელ ფონიჭალაში, ბათუმის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს მის უსახელო გასასვლელს.

თინათინ ნიბლოშვილის განმარტებით, ვინაიდან ძირითადი ქუჩა უკვე სახელდებულია და ქუჩასთან ტერიტორიის განაშენიანების შედეგად განვითარდა გასასვლელი, უსახელო გეოგრაფიულ ობიექტს ტრადიციულად მიენიჭება ძირითადი ქუჩის სახელი.

კომისიის წევრებმა საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მერვე საკითხი.

მომხრე - ოთხი
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, სოფ. ფონიჭალაში, ბათუმის ქუჩასთან არსებულ უსახელო გასასვლელს მიენიჭოს ბათუმის I გასასვლელის სახელი.

9. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, დიდგორის ქუჩის გაგრძელების შესახებ

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეცხრე საკითხი.

მომხრე - ოთხი

წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, გაგრძელდეს დიდგორის ქუჩა.

10. ქ. თბილისში, ისნის რაიონში, II ქუჩის II გასასვლელისთვის პაატა ჯანელიძის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაცია მოქალაქე მაია ასადოვის განცხადებასთან დაკავშირებით, რომლითაც მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით ითხოვს ისნის რაიონში უსახელო ქუჩის სახელდებას.

ტერიტორიის და საკითხის შესწავლის შემდგომ გაირკვა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს II ქუჩის II გასასვლელთან. 2015 წლის 28 ივლისის N289 განკარგულების თანახმად კი სამრეწველო დასახლების II ქუჩას და მასთან არსებულ ექვს ჩიხს მიენიჭა პაატა ჯანელიძის სახელი.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის დადგენილება #14-59-ის, მე-7 მუხლის 11 პუნქტის თანახმად, ქუჩის სახელწოდების შეცვლის შემთხვევაში სახელი ეცვლება ქუჩაზე მიერთებულ ჩიხსაც, გასასვლელსაც და შესახვევსაც.

გამომდინარე იქიდან, რომ ქუჩისთვის პაატა ჯანელიძის სახელის დარქმევის მომენტში სიტუაციურ ნახაზზე (განკარგულების დანართი) დატანილი და კოორდინატებით აღნიშნული არ იქნა II გასასვლელის სახელით ცნობილი გეოგრაფიული ობიექტი, იგი ამ დრომდე შემორჩენილია II ქუჩის II გასასვლელის სახელით.

სხდომაზე პაატა ჯანელიძის ბიოგრაფიაზეც ისაუბრეს და კენჭი უყარეს II ქუჩის II გასასვლელისთვის პაატა ჯანელიძის სახელის მინიჭების საკითხს.

საკითხის განხილვას ესწრებოდა განმცხადებელი მაია ასადოვი. თინათინ ნიბლოშვილმა დეტალურად განუმარტა მას სახელდების შემდგომი პროცედურები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეათე საკითხი.

მომხრე - ოთხი
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, ისნის რაიონში, II ქუჩის II გასასვლელს მიენიჭოს პაატა ჯანელიძის I გასასვლელის სახელი.

11. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ნუშის ბაღების ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ნუშის ბაღების I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ იქ სადაც ძირითადი ქუჩა უკვე სახელდებულია და ქუჩასთან ტერიტორიის განაშენიანების შედეგად განვითარდა შესახვევი, გასასვლელი ან ჩიხი, განვითარებულ უსახელო ტერიტორიას კომისიის ინიციატივით ენიჭება ძირითადი ქუჩის სახელი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთერთმეტე საკითხი.

მომხრე - ოთხი
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ნუშის ბაღების ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭოს ნუშის ბაღების I ჩიხის სახელი.

12. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, ჭრებალოს ქუჩის გაგრძელების და მასთან არსებული ორი ჩიხისთვის ჭრებალოს სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილმა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი წარმოადგინა და ჭრებალოს ქუჩასთან მდებარე უსახელო გეოგრაფიული

ობიექტის სახელდებაზე ისაუბრა. სხდომაზე აღინიშნა, რომ ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია ჭრებალოს ქუჩის გაგრძელება. უსახელო ქუჩასთან განვითარებულ ორ ჩიხს კი კომისიის გადაწყვეტილებით ასევე ჭრებალოს სახელი მიენიჭება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთორმეტე საკითხი.

მომხრე - ოთხი
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, გაგრძელდეს ჭრებალოს ქუჩა და მასთან არსებულ ორი ჩიხს მიენიჭოს ჭრებალოს სახელი.

13. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, სოფ. ნასაგურში მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შვიდი შესახვევისთვის ბროწეულას სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილმა სოფელ ნასაგურში განსახორციელებელ სახელდებასთან დაკავშირებით ისაუბრა და უსახელო ქუჩისთვის და შვიდი ჩიხისთვის ბროწეულას სახელის მინიჭების ინიციატივა გააჟღერა. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კინორეჟისორების აგარაკები, რომელსაც თავის დროზე კინოსოფელი „ბროწეულა“ დაერქვა, ლოჭინის ფერდობზეა გაშენებული. დასახლება დღესაც ატარებს აღნიშნულ სახელს.

კომისიის წევრებმა ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით იმსჯელეს და საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეცამეტე საკითხი.

მომხრე - ოთხი
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, სოფ. ნასაგურში მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შვიდი შესახვევისთვის ბროწეულას სახელის მინიჭების შესახებ.

14. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ტაძრის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ტაძრის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილმა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით ვრცლად ისაუბრა. როგორც მან აღნიშნა, მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ სიტუაციური ნახაზის მომზადების შემდგომ მოქალაქე მზევინარ ფაცაციას მომართვის საფუძველზე სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნომ ადგილზე შეისწავლა ტერიტორია.

მოუხედავად იმისა, რომ მერიის მიერ მომზადებული პროექტი თეორიულად იძლეოდა გზის მოწყობის საშუალებას, არსებული საკადასტრო ერთეულების წითელი ხაზების მდებარეობის გათვალისწინებით გზის წარმოქმნა პრაქტიკაში რთულად წარმოსადგენია.

ტერიტორიის ადგილზე დათვალიერების შემდგომ დამუშავდა საცხოვრებელ სახლებამდე მისასვლელი ალტერნატიული გზის შექმნის ვერსია, რომელიც წინა ვარიანტთან შედარებით მეტად შესაბამისობაშია ქალაქგეგმარებით პრინციპებთან.

როგორც თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ მოხდა საკითხის შესწავლა და სამსახურმა მოამზადა ქუჩის ახალი სიტუაციური ნახაზი, რაც შესაბამისად საფუძვლად დაედო სახელდების პროცესს.

სხდომას ესწრებოდა განმცხადებელი მზევინარ ფაცაცია. მან მადლობა გადაუხადა კომისიას გაწეული შრომისთვის, გვერდში დგომისთვის და დახმარებისთვის, ესოდენ რთული საკითხის მოგვარების საქმეში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთოთხმეტე საკითხი.

მომხრე - ოთხი.
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ტაძრის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევს მიენიჭოს ტაძრის I შესახვევის სახელი.

15. **ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, აკაკი ბაქრაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული გასასვლელისთვის ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიგა მანჯავიძის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილმა დიღმის მასივში მდებარე ერთ-ერთი ქუჩისთვის გიგა მანჯავიძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით ისაუბრა. კომისიის სხდომაზე გიგა მანჯავიძის ბიოგრაფიაზე ისაუბრეს. როგორც აღინიშნა, დიღმის ტერიტორია ეკავა მევენახეობის ინსტიტუტის ბაღებს და რომ სწორედ გიგა მანჯავიძის მიდგომებით გაშენდა აღნიშნული ტერიტორია. მის მიერ შემუშავებული მეთოდების დანერგვამ მევენახეობაში ქვეყნის ეკონომიკას მნიშვნელოვანი მოგება მოუტანა.

კომისიის წევრებმა სხდომის თავმჯდომარესთან ერთად იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს დიდუბის რაიონში, აკაკი ბაქრაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული გასასვლელისთვის გიგა მანჯავიძის სახელის მინიჭება.

კომისიის სხდომაზე საკითხების საჯარო განხილვას ესწრებოდნენ გიგა მანჯავიძის ოჯახის წევრები. მათ მადლობა გადაუხადეს კომისიას აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთხუთმეტე საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, აკაკი ბაქრაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ გასასვლელს მიენიჭოს ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიგა მანჯავიძის სახელი.

16. **ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, სამოქალაქო თვითმფრინავების ნაწილების ქარხანასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის ავიაკონსტრუქტორის მიხეილ გრიგორაშვილის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილმა სხდომაზე განსახილველად სს „აეროსტრუქტურების ტექნოლოგიები (ციკლონი)“ აღმასრულებელი დირექტორის მ/შ იანა ბრიკმან-ასრაფის წერილი წარმოადგინა, რომლითაც ითხოვს უსახელო ქუჩის სახელდებას.

როგორც თინათინ ნიბლოშვილმა განმარტა, კომპანიის წარმომადგენლებთან სატელეფონო კომუნიკაციის შემდეგ დადგინდა უსახელო ქუჩის ადგილმდებარეობა. უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს თვითმფრინავის ნაწილების ქარხნამდე მისასვლელ გზასთან.

სხდომის თავმჯდომარის ინიციატივით და კომისიის წევრების მხარდაჭერით, გადაწყდა რომ უსახელო ქუჩას მიენიჭოს გამოჩენილი ქართველი ავიაინჟინრის მიხეილ გრიგორაშვილის სახელი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთექვსმეტე საკითხი.

მომხრე - ოთხი.
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, სამოქალაქო თვითმფრინავების ნაწილების ქარხანასთან არსებულ უსახელო ქუჩას მიენიჭოს ავიაკონსტრუქტორის მიხეილ გრიგორაშვილის სახელი.

17. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, კულა გლდანელის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის მამუკა ბუცხრიკიძის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: როგორც ცნობილია, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია რეგულარულად თანამშრომლობს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტთან, როცა საქმე ეხება დედაქალაქის რიგი ქუჩებისთვის ომში დაღუპული მებრძოლების სახელების მინიჭებას. მათი უშუალო ჩართულობით მომზადდა და კომისიას გასაცნობად გადმოეცა იმ მებრძოლთა საბრძოლო მოკვლევები, რომელთა სახელებიც კომისიის სურვილით გაცოცხლდება თბილისის ქუჩებში. როგორც თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, კომისიას უკვე დამკვიდრებული აქვს დედაქალაქის ქუჩებისთვის ომში დაღუპული მებრძოლების სახელების მინიჭების პრაქტიკა, გამონაკლისი არც დღევანდელი სხდომა არ არის.

მამუკა ბუცხრიკიძის სახელის მინიჭების იდეა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ელგუჯა გვაზავას ეკუთვნის. მამუკა ბუცხრიკიძე აფხაზეთის ომში დაიღუპა 1993 წელს. კომისიის გადაწყვეტილებით მისი სახელის უკვდავსაყოფად გლდანის რაიონში მდებარე ერთ-ერთ უსახელო ქუჩას მიენიჭება მამუკა ბუცხრიკიძის სახელი.

კომისიის წევრებმა ერთად ერთხმად დაუჭირეს მხარი კომისიის თითქმის უკვე ტრადიციადქცეულ ინიციატივას და საკითხი დადებითად გადაწყდა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეჩვიდმეტე საკითხი.

მომხრე - ოთხი.
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, კულა გლდანელის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ შესახვევს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის მამუკა ბუცხრიკიძის სახელი.

18. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ელგუჯა ამაშუკელის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის გენერალ-მაიორის პაატა დათუაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილმა ვაჟა-ფშაველას V კვარტლის I კორპუსთან არსებული სკვერისთვის გენერალ-მაიორის პაატა დათუაშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით ისაუბრა. აღნიშნული მოთხოვნით კომისიას მოქალაქე ნანა დათუაშვილმა მომართა.

კომისიამ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბიდან გამოითხოვა პაატა დათუაშვილზე არსებულ საბრძოლო მოკვლევასთან დაკავშირებით დაცული მასალების ასლები. კომისიის სხდომაზე აღნიშნული მასალები განიხილეს.

ტერიტორიის და საკითხის შესწავლის პროცესში გამოიკვეთა, რომ არსებული სკვერის ტერიტორია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საკუთრებაშია და მისი სახელდება შეუძლებელია. ამიტომ პაატა დათუაშვილის მეუღლესთან, ნანა დათუაშვილთან კონსულტაციის შემდეგ კომისიამ მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ პაატა დათუაშვილის სახელი მიენიჭოს თბილისის რომელიმე უსახელო ქუჩას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთვრამეტე საკითხი.

მომხრე - ოთხი.
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ელგუჯა ამაშუკელის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს გენერალ-მაიორის პაატა დათუაშვილის სახელი.

19. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ბაგებში, ნუშის ბაღების ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის, ლეიტენანტის ემზარ გელანტიას სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილმა ზემოაღნიშნულ სახელდებასთან დაკავშირებით მოქალაქეთა განცხადებები განიხილა. მან კომისიის წევრებს და სხდომაზე დამსწრე მოქალაქეებს ემზარ გელანტიას ბიოგრაფია გააცნო, რომელიც

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის უშუალო ჩართულობით მომზადდა. აფხაზეთის ომში დაღუპული ლეიტენანტი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებულია მედლით „მხედრული მამაცობისთვის“.

კომისიის სხდომას ესწრებოდა განმცხადებელი ია გელანტია. კომისიის მიერ შეთავაზებულ სახელდებას მოქალაქის მხრიდან უკმაყოფილება მოჰყვა. როგორც გაირკვა, განმცხადებელი მოითხოვდა ემზარ გელანტიას სახელის მინიჭებას არა ერთი, რომელიმე ქუჩისთვის, არამედ მთლიანად დასახლებისთვის. სხდომაზე მოქალაქეს განემარტა, რომ უბანს ან დასახლებას კომისია სახელს არ ანიჭებს და ამ ტიპის სახელდებები ძირითადად მოსახლეობის მიერ არის შერქმეულ-დამკვიდრებული. საუბარია ბაგებში დევნილთა დასახლებასთან გამავალ წყნეთის გზატკეცილზე. რაც შეეხება აღნიშნული გზატკეცილისთვის სახელის ცვლილებას, თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, რომ კომისია მსგავს პრეცენდენტს ვერ დაუშვებს.

გამომდინარე იქიდან, რომ კომისიას და განმცხადებელს შორის ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება ემზარ გელანტიას სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით, მე-19 საკითხი მოხსნილი იქნა დღის წესრიგიდან.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეცხრამეტე საკითხის დღის წესრიგიდან მოხსნის შუამდგომლობა.

მომხრე - ოთხი.
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ბაგებში, ნუშის ბაღების ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის, ლეიტენანტ ემზარ გელანტიას სახელის მინიჭების შესახებ საკითხი მოხსნილი იქნას დღის წესრიგიდან.

20. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობაში, გუდამაყრის ქუჩის გაგრძელების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილმა მოქალაქე გიორგი უშიკიშვილის და მოქალაქეთა ერთობლივი განცხადება განიხილა. მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით უსახელო ტერიტორია მდებარეობს გუდამაყრის ქუჩასთან. როგორც თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია გუდამაყრის ქუჩის გაგრძელება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოცე საკითხი.

მომხრე - ოთხი.
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობაში, გაგრძელდეს გუდამაყრის ქუჩა.

21. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიღმის ქედის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის იუნკერის ირაკლი თოიძის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის ინფორმაცია ირაკლი სესიაშვილის წერილთან დაკავშირებით, რომლითაც ითხოვს ე. წ. ქოშიგორას დასახლებაში უსახელო ქუჩის სახელდებას.

როგორც თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, კომისია გააგრძელებს დედაქალაქის ქუჩებისთვის იუნკერთა სახელების მინიჭების ტრადიციას. იმ სიიდან, რომელიც ირაკლი სესიაშვილმა სახელდებისთვის გამოგვიგზავნა, კომისიამ არჩევანი გააკეთა იუნკერ ირაკლი თოიძეზე, რომელიც იყო იუნკერთა სამხედრო სკოლის საინჟინრო განყოფილების კაპიტანი და მეთაურობდა იუნკერთა ოცეულს. დაიღუპა ტაბახმელასთან ბრძოლაში.

სხდომის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ სახელდებას და საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული ოცდამეერთე საკითხი.

მომხრე - ოთხი.
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიღმის ქედის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს იუნკერ ირაკლი თოიძის სახელი.

22. **ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ელეონორა ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ელეონორა ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაცია დღის წესრიგით გათვალისწინებულ 22-ე საკითხთან დაკავშირებით. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრის, ელეონორა ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძის I შესახვევის სახელი მიენიჭება გლდანის რაიონში ამავე სახელწოდების ქუჩის უსახელო შესახვევს.

კომისიის წევრებმა საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული ოცდამეორე საკითხი.

მომხრე - ოთხი.
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ელეონორა ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძის ქუჩასთან არსებულ უსახელო შესახვევს მიენიჭოს ელეონორა ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძის I შესახვევის სახელი.

23. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობაში რაჭის ქუჩის გაგრძელების და ქუჩასთან არსებული ოთხი უსახელო შესახვევისთვის რაჭის სახელის მინიჭების შესახებ

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული ოცდამესამე საკითხი.

მომხრე - ოთხი.
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობაში გაგრძელდეს რაჭის ქუჩა და ქუჩასთან არსებულ ოთხ უსახელო შესახვევს მიენიჭოს რაჭის სახელი.

24. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, შალვა დოლიძის ქუჩის გაგრძელების შესახებ

მოისმინეს: სხდომაზე კომისიის წევრებმა მაიორის, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანის შალვა დოლიძის ბიოგრაფიაზე ისაუბრეს, რომელიც 2008 წელს გმირულად დაიღუპა და ძირითადი ქუჩის გაგრძელების შესძლებლობაზე იმსჯელეს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული ოცდამეოთხე საკითხი.

მომხრე - ოთხი.
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, გაგრძელდეს შალვა დოლიძის ქუჩა.

25. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიღმის ქედის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის თამაზ ძიძიგურის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილმა განსახილველად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ელგუჯა გვაზავას წერილი წარმოადგინა, რომლითაც იგი მხარს უჭერს ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის თხოვნას, თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის თამაზ ძიძიგურის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით. კომისიაში მოქალაქე მიხეილ ძიძიგურის მიერ დანართის სახით ასევე შემოსულია თამაზ ძიძიგურზე არსებული დამატებითი საბრძოლო მოკვლევის ასლები, საიდანაც ირკვევა, რომ იგი იყო საქართველოს მშვიდობის ფონდის თავმჯდომარის მოადგილე, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი. დაიღუპა აფხაზეთს ერთ-ერთი საბრძოლო ოპერაციის დროს. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

თინათინ ნიბლოშვილმა ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის რეკომენდაციით და კომისიის წევრების მხარდაჭერით საკითხი დადებითად გადაწყვიტა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული ოცდამეხუთე საკითხი.

მომხრე - ოთხი.
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიღმის ქედის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის თამაზ ძიძიგურის სახელი.

26. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიღმის ქედის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის იოსებ კვაჭაძის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის თავმჯდომარის, საქართველოს დარგობრივ მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსის გიორგი ჩუბინაშვილის წერილი გააცნო, რომლითაც ითხოვს უდიდესი კლინიცისტის, მეცნიერის და პედაგოგის იოსებ კვაჭაძის სახელის მინიჭებას საბურთალოს ან ნაძალადევის რაიონში ერთ-ერთი უსახელო ქუჩისთვის.

კომისიის სხდომაზე იოსებ კვაჭაძის ბიოგრაფიაზე და მოღვაწეობაზე ვრცლად ისაუბრეს. 300 სამეცნიერო შრომის და 10 მონოგრაფიის ავტორი იოსებ კვაჭაძე მონაწილეობდა მრავალ საერთაშორისო კონგრესში, იყო მსოფლიოს ბავშვთა საზოგადოების საპატიო წევრი, საქართველოს პედიატრთა ასოციაციის პრეზიდენტი, საქართველოს რევმატოლოგთა ასოციაციის ვიცე პრეზიდენტი, საკავშირო სამედიცინო ჟურნალების რედკოლეგიის წევრი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული ოცდამეექვსე საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიღმის ქედის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის იოსებ კვაჭაძის სახელი.

27. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ვლადიმერ წითლანაძის ქუჩისთვის და მასთან არსებული სამი შესახვევისთვის ცოლიკაურის სახელის მინიჭების შესახებ
28. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, რევაზ სირაძის ქუჩისთვის და მასთან არსებული ოთხი ჩიხისთვის საბატონოს სახელის მინიჭების შესახებ
29. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ხეივნის დასახლებაში, ე.წ. III ხევნის ქუჩისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის ბადაგის სახელის მინიჭების შესახებ

30. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ხეივნის დასახლებაში, ე.წ. ახალი ხეივნის ქუჩისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის უსახელოურის სახელის მინიჭების შესახებ
31. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ხეივნის დასახლებაში, ე. წ. დიდი ხეივნის ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის დიდი ხეივნის სახელის მინიჭების შესახებ
32. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ხეივნის დასახლებაში, უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული სამი შესახვევისთვის ხეივნის სახელის მინიჭების შესახებ
33. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, გია გულუას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი შესახვევისთვის რევმატოლოგის, აკადემიკოს ვლადიმერ წითლანაძის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: როგორც ცნობილია, თბილისში ამ დრომდე შემორჩენილია ამა თუ იმ დასახლების სახელწოდებით ცნობილი ტერიტორიები, სადაც ქუჩათა ქსელები ან საერთოდ არ არის მომზადებული, ან წარმოქმნილია ქალაქგეგმარებითი პრინციპების გაუთვალისწინებლად. ასეთ დასახლებათა უმრავლესობაში ქუჩის სახელდების აქტები არ არსებობს და I, II, III და ა. შ. სახელებს მოსახლეობა უწოდებს საკუთარი ინიციატივით.

ამ ტიპის დასახლებას განეკუთვნება კრწანისის რაიონში მდებარე ე. წ. „ხეივნის“ დასახლება.

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ხეივნის დასახლებაში ქუჩათა ქსელების მომზადების პროცესი დაიწყო 2017 წელს და ორ ქუჩას მიანიჭა რევაზ სირაძის და ვლადიმერ წითლანაძის სახელები. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ქუჩებზე მაცხოვრებელი მოსახლეობის უმრავლესობა ცვლილებების შესახებ საქმის კურსში არ იყო. ჩვენი მოსახლეობასთან კონსულტაციის და კრწანისის გამგებლის ლევან ჯაფარიძის ჩართულობით დაიგეგმა შეხვედრა ე. წ. „დიდი ხეივნის“ მოსახლეობასთან.

შეხვედრაზე, რომელსაც მოსახლეობის უმრავლესობა ესწრებოდა, გამოითქვა მოსაზრება, რომ ქუჩებს მინიჭებოდა ყურძნის ჯიშების სახელები. ვინაიდან ხეივანი, ვაზის კულტურასთან ასოცირდება, კომისიამ მოსახლეობის მიერ გამოყოფილ საინიციატივო ჯგუფს გადასცა იმ სახელების ჩამონათვალი, რომელთა ქუჩებიც არ არის თბილისში. საინიციატივო ჯგუფმა

მოსახლეობასთან კონსულტაციის საფუძველზე, შეარჩია ის სახელწოდებები, რომელსაც სახელდებისთვის გთავაზობთ.

კომისიას მიაჩნია, რომ სახელწოდებები: „ხეივანი“ და „დიდი ხეივანი“ ერთგვარ ტოპონიმურ სახელწოდებებად ჩამოყალიბდა და მათი სახელობის თითო ქუჩა უნდა არსებობდეს დასახლებაში.

კომისიამ მხედველობაში მიიღო ვლადიმერ წითლანაძის დამსახურება რევმატოლოგიის დარგში და გთავაზობთ ვლადიმერ წითლანაძის სახელის მინიჭებას ხეივნის დასახლების მიმდებარედ არსებული უსახელო ქუჩისთვის.

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ მოქალაქეები ე.წ. „ხეივნის“ დასახლებიდან. მიუხედავად მათთან არაერთი შეხვედრისა და კონსულტაციისა, მოქალაქეთა განცხადებით ქუჩის იმ მონაკვეთზე მაცხოვრებელ ადამიანებთან, რომელსაც უნდა მიენიჭოს ხეივნის სახელი, კომუნიკაცია არ შემდგარა. შესაბამისად, ისინი არ არიან უფლებამოსილნი ხსენებულ ტერიტორიაზე მაცხოვრებელი ადამიანების სახელით ილაპარაკონ.

გადაწყვიტეს: კომისიის თავმჯდომარის და კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება 32-ე საკითხის დღის წესრიგიდან მოხსნის და იქ მაცხოვრებელ მოსახლეობასთან კონსულტაციების გაგრძელების შესახებ.

34. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, თაბორის მთის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის თაბორის მთის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: კომისიის სხდომაზე თაბორის ტაძრამდე მისასვლელი უსახელო გზის სახელდების საკითხი განიხილეს. უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს თაბორის მთის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს მის უსახელო შესახვევს.

სხდომას ესწრებოდა განმცხადებელი მამუკა ცუხიშვილი. თინათინ ნიბლოშვილმა განუმარტა სახელდების შემდგომი პროცედურების შესახებ და აღნიშნა, რომ კომისიის შუამდგომლობით, მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური აუცილებლად უზრუნველყოფს დგარიანი, მიმმართველი აბრის

დამონტაჟებას ქუჩის დასაწყისში, მას შემდეგ რაც სამისამართო სამსახური დაასრულებს ნუმერაციის პროცესს.

მოქალაქემ მადლობა გადაუხადა კომისიას და წარმატებები უსურვა შემდგომ საქმიანობაში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული ოცდამეთოთხმეტე საკითხი.

მომხრე - ოთხი.
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, თაბორის მთის ქუჩასთან არსებულ უსახელო შესახვევს მიენიჭოს თაბორის მთის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ.

35. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ე.წ. ნატბეურების დასახლებაში უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ოთხი შესახვევისთვის ნატბეურების სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: როგორც ცნობილია, კომისია რეგულარულად თანამშრომლობს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო სამსახურთან. სწორედ ასეთი თანამშრომლობის ფარგლებში არაერთი ქუჩა დამისამართდა და არაერთ მოქალაქეს მოეხსნა მისამართის პრობლემა. ერთ-ერთი ასეთია მოქალაქე ქეთინო მალაზონია, რომლის განცხადებაც სწორედ საჯარო რეესტრის სამისამართო სამსახურმა გადმოგვიგზავნა. კონკრეტული საკადასტრო ერთეულის მიხედვით მოქალაქე ითხოვს საბურთალოს რაიონში უსახელო ქუჩის სახელდებას.

საკითხის განხილვის პროცესში აღმოჩნდა, რომ ნატბეურების სახელით მოიხსენიება ტერიტორია, სადაც კონკრეტული ქუჩაა წარმოქმნილი, ქუჩასთან განვითარებულია ოთხი შესახვევი. „ნატბეურები“ ტერიტორიას შეერქვა დასახლების დღიდან და წარმოადგენს ისტორიულ ტოპონიმს. კომისია კი სახელდებისას მაქსიმალურად ცდილობს ისტორიული ტოპონიმების

გამოვლენა, შენარჩუნებასა და აღდგენაზე. (გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესი, მუხლი 4, ქვეპუნქტი „გ“).

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული ოცდამეთხუთმეტე საკითხი.

მომხრე - ოთხი.
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ე.წ. ნატბეურების დასახლებაში უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ოთხ შესახვევს მიენიჭოს ნატბეურების სახელი.

36. ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ფაზისისა და კოლხეთის ქუჩებთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის დიოსკურიას სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: კომისიის სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილი კიდევ ერთი საკითხი განიხილეს. უსახელო ტერიტორია, რომლის სახელდებასაც მოქალაქე ლირა ცაგარეიშვილი ითხოვს, მდებარეობს ფაზისისა და კოლხეთის ქუჩებთან (ქუჩასთან განვითარებულია უსახელო შესახვევი).

როგორც ცნობილია, კოლხეთის სამეფოს ქალაქები იყო ფაზისი და დიოსკურია, თემატურად, ასევე კომისიის წევრების მხარდაჭერით, დღის წესრიგით გათვალისწინებულ 36-ე საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაეწია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული ოცდამეთექვსმეტე საკითხი.

მომხრე - ოთხი.
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ფაზისისა და კოლხეთის ქუჩებთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ შესახვევს მიენიჭოს დიოსკურიას სახელი.

37. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ქინძმარაულის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის და ერთი შესახვევისთვის რქაწითელის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: როგორც თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ჩიხს და შესახვევს სასურველია რქაწითელის სახელი მიენიჭოს, ვინაიდან უსახელო ტერიტორია მდებარეობს ქინძმარაულის ქუჩასთან და აღნიშნული სახელდებაც თემატურად სწორი იქნება.

კომისიის წევრებმა საკითხი დადებითად გადაწყვიტეს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული ოცდამეჩვიდმეტე საკითხი.

მომხრე - ოთხი.
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ქინძმარაულის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას, მასთან არსებულ ერთ ჩიხს და ერთ შესახვევს მიენიჭოს რქაწითელის სახელი.

ვინაიდან დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-19 (**ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ბაგებში, ნუშის ბაღების ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის, ლეიტენანტის ემზარ გელანტიას სახელის მინიჭების შესახებ**

და 32-ე (ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ხეივნის დასახლებაში, უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული სამი შესახვევისთვის ხეივნის სახელის მინიჭების შესახებ)

საკითხები კომისიის გადაწყვეტილებით მოხსნილი იქნა დღის წესრიგიდან. კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს 35 საკითხის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე გატანას.

თინათინ ნიბლოშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი თ. ნიბლოშვილი

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის

სხდომა

6 ივლისი , 2018 წელი

N	სახელი, გვარი	ხელმოწერა
1.	თინათინ ნიბლოშვილი	თ. ნიბლოშვილი
2.	მარიკა დარჩია	
3.	გიორგი ბირბიჩაძე	
4.	ანა ლაშხი	ა. ლაშხი
5.	გულია გოცირიძე	ქ. გოცირიძე
6.	თარაშ შურღაია	

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი თ. ნიბლოშვილი